საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1389-03
10/09/2024

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმის ჩართვისა და დახურვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის 2024 წლის 9 სექტემბრის N15536-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი ჩაირთოს შემდეგი განრიგით, 2024 წლის:
   ა) 19 სექტემბერი, 12 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და სამართლის სკოლის I კურსის სტუდენტებისათვის;

   ბ) 19 სექტემბერი, 15 საათი - სამართლის სკოლის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

   გ) 19 სექტემბერი, 17 საათი - ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის, სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისათვის, მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის;

   დ) 20 სექტემბერი, 12 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

   ე) 20 სექტემბერი, 15 საათი - ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის, საბაკალავრო და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები);

   ვ) 20 სექტემბერი, 17 საათი - სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის;

2. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი დაიხუროს 2024 წლის 5 ოქტომბერს, 18:00 საათზე;
3. სტუდენტებს, რომლებსაც უნივერსიტეტის მიმართ ექნებათ ფინანსური დავალიანება შეეზღუდებათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსზე“ წვდომა;
4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის სტუდენტებს უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხდევით შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი, კერძოდ:
   ა) სტუდენტებს, რომელთაც 2024 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით ერიცხებათ ფინანსური დავალიანება;

ბ) სტუდენტებს, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში არ დარეგისტრირდებიან კურსებზე/კომპონენტებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“;

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციის სამდივნოს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE